

Morison Georgia, LLC

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

შპს მისო ლიდერკრედიტი-ს მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს "მისო ლიდერკრედიტი"-ს (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს).

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტისათვის.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თალღითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

6 Marjanishvili Str | 0102 | Tbilisi, Georgia

office +995 322 000 123 | info@morison.ge | www.morison.ge

Audit | Accounting | Tax & Legal | Valuation | Business Consulting

Morison Georgia is a member of the Morison KSi, a global association of leading professional service firms, established to meet the cross-border accounting, auditing, tax and business consulting needs of clients

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სექტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვაღვანთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განხრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვაღვანთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ორგანიზაცია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა, ვადების და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიშა აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

თარიღი: სექტემბერი 14, 2017

თბილისი, საქართველო

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლიდერკრედიტი
 ფინანსური ანგარიშგება
 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-16	31-დეკ-15
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	740,059	656,403
გაცემული სესხები	7	20,750,345	16,663,237
საგადასახადო აქტივები	8	725,746	219,048
ძირითადი საშუალებები	9	339,906	203,930
არამატერიალური აქტივები	10	147,632	122,671
გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები	11	636,553	300,809
სხვა აქტივები	13	382,213	455,151
სულ აქტივები		23,722,455	18,621,250
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	14	10,160,510	9,759,581
გადასახდელი გადასახადები	15	954,782	718,570
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	12	28,232	13,644
სხვა ვალდებულებები		335,490	133,707
სულ ვალდებულებები		11,479,014	10,625,502
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	16	5,300,000	3,500,000
გაუნაწილებელი მოგება		6,943,441	4,495,748
სულ კაპიტალი		12,243,441	7,995,748
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		23,722,455	18,621,250

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლიდერკრედიტი
 ფინანსური ანგარიშგება
 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

სრული შემოსავლების ანგარიშგება	შენიშვნა	2016	2015
საპროცენტო შემოსავალი		5,153,786	4,100,257
საპროცენტო ხარჯი		(1,085,759)	(920,233)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		4,068,028	3,180,024
საკომისიო შემოსავლები		710,190	526,834
შემოსავალი ჯარიმებიდან, წმინდა		1,071,290	1,034,219
ჩამოწერილი დებიტორული დავალიანება		-	-
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		260,816	208,717
სხვა ხარჯი		(60,371)	(4,164)
სხვა შემოსავალი		54,022	16,123
საოპერაციო შემოსავალი		6,103,975	4,961,753
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(2,132,066)	(1,430,290)
ცვლილება სესხის გაუფასურების რეზერვში		(2,030,618)	(1,395,455)
უცხოური ვალუტით მიღებული მოგება/(ზარალი)		1,467,610	1,369,305
მოგება გადასახდებამდე		3,408,901	3,505,313
მოგების გადასახადი	12	(961,208)	(753,458)
მიმდინარე წლის მოგება		2,447,693	2,751,855

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლიდერკრედიტი
 ფინანსური ანგარიშგება
 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,000,000	1,743,893	3,743,893
დამატებით შეტანილი კაპიტალი	1,500,000	-	1,500,000
წმინდა მოგება 2015 წლისთვის	-	2,751,855	2,751,855
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,500,000	4,495,748	7,995,748
დამატებით შეტანილი კაპიტალი	1,800,000	-	1,800,000
წმინდა მოგება 2016 წლისთვის	-	2,447,693	2,447,693
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,300,000	6,943,441	12,243,441

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლიდერკრედიტი
 ფინანსური ანგარიშგება
 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	2016	2015
სესხის დასაფარად შემოსული თანხები	18,652,287	12,922,726
მიღებული პროცენტი	4,970,310	3,890,050
მიღებული ჯარიმა და საკომისიო	1,892,935	1,234,190
გაცემული სესხები	(22,231,768)	(19,005,129)
გაწეული ხარჯები	(1,022,383)	(636,804)
გადახდილი ხელფასები	(810,026)	(576,125)
გადახდილი პროცენტი	(1,003,285)	(871,280)
გადახდილი გადასახადები	(1,544,464)	(514,932)
წმინდა ფულადი სახსრები უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან	260,500	208,717
ფულადი გზავნილების საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	44,569	35,210
სხვა შემოსულობა/(გასავალი)	198,190	34,445
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(593,135)	(3,278,933)
გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივის შეძენა	(381,450)	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	(200,778)	(251,943)
გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივის გაყიდვა	122,348	3,000
არამატერიალური აქტივების შეძენა	(34,483)	(26,895)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(494,362)	(275,838)
მიღებული სესხები	2,412,403	4,530,426
დაფარული სესხები	(3,034,684)	(2,752,823)
კაპიტალის შევსება	1,800,000	1,500,000
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	1,177,720	3,277,603
საკურსო სხვაობის შედეგი	(6,565)	10,774
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება)	90,222	(277,168)
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	656,403	922,797
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	740,059	656,403